პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

11 ოქტომბერი, შაბათი, 1986 წ. № 196 (2357) ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, „ლელოს" რედაქცია იმედოვნებენ, რომ ადგილებზე აქტიურად, დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდებიან ამ ღონისძიების ჩატარებას

# ვეძებთ ტალანტებს!

მძლეოსნობაში „ლელოს" რეგიონალურ-რესპუბლიკური დათვალიერება-შეჯიბრების ჩატარების მთავარი მსაჯის, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის, ოლიმპიური თამაშების სამგზის ჩემპიონის ვიქტორ სანეევის

## მიმართვა

### რესპუბლიკის ყველა მოზარდისადმი

ძვირფასო ბავშვებო! თქვენ კარგად იცით, რომ ჩვენს ქვეყანაში ფიზიკურ კულტურას და სპორტს პარტია და მთავრობა უდიდეს ყურადღებას აქცევს. ფიზიკური კულტურა ჩვენი საერთო კულტურის განუყოფელ ნაწილად იქცა. სულიერი და ფიზიკური აღზრდა ისე არასოდეს ყოფილა ერთმანეთთან დაკავშირებული, როგორც დღეს. თქვენ ახალ საუკუნეში უნდა იცხოვროთ და ილვაწოთ. ეს დიდი ისტორიული მისიაა. ცხოვრების ყოველდღიურობა სულ უფრო მკაცრ მოთხოვნებს უყენებს ადამიანებს. სულიერი და ფიზიკური სიმტკიცის გარეშე შეუძლებელია ამ სირთულეების დაძლევა, ამიტომ აქედანვე უნდა ეზიაროთ, შეიგრძნოთ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სიკეთე, მისი მნიშვნელობა. სპორტი ბევრ რამეში დაგეხმარებათ, გასწავლით სიძნელეთა დაძლევას, შეგაჩვევთ დისციპლინას, რეჟიმს, შრომას, კოლექტივისა და მეგობრის პატივისცემას, გასწავლით ვაჟკაცობას და რაინდობას, თქვენს შორის რჩეულთ კი მთელს სამყაროს გააცნობს. რა უნდა იყოს ადამიანისათვის იმაზე საამაყო, რომ იგი თავის სამშობლოს, თავის ხალხს განადიდებს მსოფლიო სპორტულ არენაზე.

ოლიმპიური სარბიელისკენ მიმავალი გზა სკოლაში იწყება. ჩემი სპორტული ბიოგრაფიაც ფიზკულტურის გაკვეთილებზე, თანაკლასელებთან შეჯიბრებით დაიწყო. მასობრივ მძლეოსნურ ღონისძიებებში, რომელიც „ლელოს" თაოსნობით ტარდება და რომელსაც ყოველმხრივ მხარს უჭერს საქართველოს განათლების სამინისტრო, ყველა თქვენგანმა უნდა მიიღოს მონაწილეობა, ამ შეჯიბრებებში მონაწილეობა დაუვიწყარი უნდა იყოს თქვენს ცხოვრებაში. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ამის შემდეგ ბევრი თქვენგანი განაგრძობს მეცადინეობას მძლეოსნობაში, რომ გავა წლები და მათ დიდ სპორტულ სარბიელზე ვიხილავთ. თქვენს მიერ პირველ სტარტზე ნაჩვენებ შედეგებს, რომელსაც „ლელოს" რედაქციაში გამოაგზავნიან, გულდასმით განვიხილავთ, რჩევას მოგაწვდით, შევხვდებით კიდეც ერთმანეთს. ამ ღონისძიების ერთ-ერთი მთავარი მიზანი ხომ ნიჭიერ მოზარდთა გამოვლენაა.

ვიქტორ სანეევი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი, ოლიმპიური თამაშების სამგზის ჩემპიონი.

„ლელოს" რესპუბლიკურ-რეგიონალური დათვალიერება-შეჯიბრება მძლეოსნობაში

ანკეტა

1. რაიონი, ქალაქი, სკოლა . . . . . . . . . .
2. გვარი, სახელი . . . . . . . . . . .
3. დაბადების წელი, რიცხვი; სიმაღლე, წონა . . . . .
4. სახეობა . . . . . . . . . . . .
5. ნაჩვენები შედეგი . . . . . . . . . .
6. მასწავლებელი . . . . . . . . . . .
7. სკოლის დირექტორი . . . . . . . . .

ბ. ა.

სკოლის დირექტორის ან განათლების განყოფილების გამგის ხელმოწერა.

ანკეტის შევსებაზე განმარტება იხ. მე-2 გვ.

## ელვა-ინფორმაცია

ჩვენმა მოფარიკავეთა ლიდერმა ვლადიმერ აფციაურმა ტალინში გამართულ დინამოელ სპორტსმენთა ცენტრალური საბჭოს პირველობაზე მეორე გამარჯვება მოიპოვა. ეს წარმატება თანაბრად გაიყო მისმა ოთხმა თანაგუნდელმა — საქართველოს ნაკრების წევრმა. ჩვენმა რაპირისტებმა ნახევარფინალში ბელორუსიის წარმომადგენლებს სძლიეს — 9:6, ფინალში კი მოსკოვის ნაკრებთან ფრედ — 8:8 დაამთავრეს შეხვედრა, მაგრამ მეტოქეს ჩხვლეტების შეფარდებით აჯობეს და ჩემპიონობა მოიპოვეს. აღსანიშნავია, რომ გადამწყვეტი გამარჯვება ჩვენს გუნდს ზურაბ აფციაურმა მოუპოვა, რომელმაც ანგარიშით 5:3 დაამარცხა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და თასის მფლობელი რ. ლაპიცკი. აფციაურებთან ერთად საქართველოს გუნდის ღირსებას იცავდნენ გიორგი გელაშვილი, გელა ზვიადაძე და სერგო დემეტრაშვილი. გუნდის მწვრთნელია ბაზვა მათითაიშვილი.

# 50:49

როგორც იცით, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის გარი კასპაროვისა და ექსჩემპიონ ანატოლი კარპოვის მატჩ-რევანშის 24-ე პარტიას მხოლოდ ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ მას წერტილი უნდა დაესვა მარათონული შეხვედრისთვის. მეტოქეებმა ახალინდური დაცვა გაითამაშეს და საინტერესო ბრძოლის შემდეგ, პარტია თანაბარ პოზიციაში გადაიდო.

ოცდამეოთხე პარტია

გ. კასპაროვი — ა. კარპოვი

ახალინდური დაცვა

1. d4 მf6 2. c4 e6 3. მf3 b6 4. g3 კb7 5. კg2 კb4+ 6. კd2 a5 7. 0—0 0—0 8. კg5 კe7 9. ლc2 h6 10. კ:f6 კ:f6 11. მc3 g6 12. ეad1 d6 13. h4 h5 14. e4 მd7 15. e5 კg7 16. d5 მ:e5 17. მ:e5 კ:e5 18. de კ:g2 19. ef+ მფ:f7 20. მფ:g2 კ:c3 21. ლ:c3 ლf6 22. ლ:f6+ მფ:f6 23. a4 ეae8 24. ეfe1 ე:e1 25. ე:e1 ეd8 26. ეd1 c6 27. მფf3 მფe5 28. მფe3 ეf8 29. f3 ეh8 30. ეe1 ეb8 31. მფd3+ მფf6 32. ეe4 d5 33. cd cd 34. ეe2 b5 35. მფd4 ba 36. მფ:d5 ეb3 37. მფe4 ეb4+ 38. მფd5 ეb5+ 39. მფd4 ეb4+ 40. მფd5 ეb3 41. მფe4. პარტია გადაიდო. მეორე დღეს, თამაშის განუახლებლად, მეტოქენი დაზავდნენ.

ამრიგად, გარი კასპაროვმა მატჩ-რევანში მოიგო ანგარიშით 12,5:11,5. ახლა ამ ორი მოჭადრაკის ერთმანეთთან ბრძოლის საერთო შედეგია 50:49 მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის სასარგებლოდ.

**გუშინ, ლენინგრადში, „ლენინგრადის" საკონცერტო დარბაზის სცენაზე საზეიმოდ დაიხურა კასპაროვ—კარპოვის მატჩ-რევანში. გარი კასპაროვი, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონის სახელი შეინარჩუნა, დაფნის გვირგვინით შეამკეს.**



მაია ჩიბურდანიძისა და ელენა ახმილოვსკაიას მატჩი ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის სახელისთვის



ეროვნული ბიბლიოთეკა

## მეთერთმეტე პარტია

ამ პარტიაში მეტოქეებმა ლაზიერის გამბიტი აირჩიეს და მისი ერთ-ერთი, კლასიკური დასაწყისი გაითამაშეს. შავებმა მალე გაათანაბრეს პოზიცია, მოიგეს პაიკი და ნელნელა საგრძნობი უპირატესობაც მოიპოვეს, მაგრამ პარტიის დასკვნითი ნაწილი მძაფრ ცაიტნოტში წარიმართა და ამ მდგომარეობაში ახმილოვსკაიამ ვერ შენიშნა ჩიბურდანიძის მხედრის მოძრაობა. როცა შეცდომას მიხვდა, უკვე გვიან იყო და მეტოქეს ყაიმი შესთავაზა. თეთრებმა მიიღეს ეს წინადადება.

ჩიბურდანიძე — ახმილოვსკაია

ლაზიერის გამბიტი

1. d4 მf6 2. c4 e6 3. მf3 d5 4. მc3 კe7 5. კg5 h6 6. კh4 0—0 7. e3 b6 8. კe2 მbd7 9. 0—0 კb7 10. ეc1 c5 11. cd ed 12. dc bc 13. ლc2 ეc8 14. ეfd1 ლb6 15. კg3 ეfd8 16. მh4 ლe6 17. ლf5 მf8 18. b3 g6 19. ლ:e6 მ:e6 20. მf3 d4 21. ed cd 22. მb1 ე:c1 23. ე:c1 d3 24. კf1 კ:f3 25. gf მh5 26. კe5 მhf4 27. ეd1 ეd5 28. კc3 მd4 29. მფh1 მ:f3 30. კg2 მ:g2 31. მფ:g2 მh4+ 32. მფf1 g5 33. მd2 g4 34. მc4 კg5 35. მe5 კf6 36. მc6 კg5 37. მb4. ყაიმი.

ამრიგად, მატჩის ანგარიში გახდა 7:4 მაია ჩიბურდანიძის სასარგებლოდ.

სსრ კავშირის ჩემპიონატი აფროსნობაში

## შეფერხებები ფინიშზე

სევასტოპოლი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). როგორც ჩანს, აფროსანთა საკავშირო ჩემპიონატი შემოკლებული პროგრამით ჩატარდება, რადგან ერთდღიანი დასვენების შემდეგ, რომელიც აქ კონსტიტუციის დღესთან დაკავშირებით გამოცხადდა, მსაჯთა კოლეგიამ ასპარეზობა ვერც რვა ოქტომბერს და ვერც ცხრაში ვერ განაახლა. ამის მიზეზი მშვიდი, უქარო ამინდი გახლდათ.

ასეთი შეფერხებები აფროსნობაში არც ისე იშვიათია. ამიტომ შეჯიბრების დებულება მათ საგანგებოდ ითვალისწინებს. შეჯიბრება რომ შემოკლებული პროგრამით ჩატარდეს, შვიდიდან ოთხი რბოლა მაინც უნდა გაიმართოს. ოთხრბოლიანი ტურნირის დროს ერთი უარესი შედეგის გაუქმება აღარ ხდება — ჩათვლაში ოთხივე შედეგი შედის. სხვა შემთხვევაში (ხუთი, ექვსი ან შვიდი რბოლა) ერთი შედეგი უქმდება და გამარჯვებულიც ამის მიხედვით გამოვლინდება.

8 ოქტომბერს ჩემპიონატის მონაწილეებმა რის ვაი-ვაგლახით მიაღწიეს სტარტამდე, მაგრამ ზღვაზე ნიავიც კი არ იძვროდა, ამიტომ მთელი რეგატა პორტში დაბრუნდა.

9 ოქტომბერს ამინდი თითქოს შეიცვალა —, ქარმა დაუბერა და მსაჯთა კოლეგიამ სტარტის ნიშანი მისცა, მაგრამ ბრძოლისმოწყურებულ სპორტსმენთა სიხარული ნაადრევი გამოდგა. ისინი პირველ ნიშანთან არც კი იყვნენ მისულნი, რომ ქარი ჩადგა და ნავები ერთ ადგილზე გაქვავდნენ. არადა გულდასაწყვეტი იყო, რადგან გურამ ბიგანიშვილი ამ რბოლასაც დიდი უპირატესობით იგებდა. მონაწილენი ერთხანს ამაოდ ელოდნენ ქარს, მერე კი უკან იბრუნეს პირი — პორტში ბუქსირით დაბრუნდნენ.

გუშინ კიდევ ერთი ცდა უნდა შემდგარიყო. დებულებით „უამინდობის" შემთხვევაში რეგატა უნდა შეწყდეს და გამარჯვებულთა ვინაობა ოთხი რბოლის შედეგის მიხედვით დადგინდეს. ამიტომ ერთხელ კიდევ გავიხსენოთ, ვის რა მდგომარეობა აქვს „ვარსკვლავის" და სხვა კლასებში.

ბიგანიშვილი პირველ ორ რბოლაში მეორე იყო, მესამეში — მესამე, მეოთხეში კი პირველი. მას 11,7 საჯარიმო ქულა აქვს და შეჯიბრების შეწყვეტის შემთხვევაში ჩემპიონი გახდება, ხოლო ბელორუსიელი სერგეი ხორეცკი 21 საჯარიმო ქულით ვერცხლის მედალს დაეუფლება, ლენინგრადელ ვიქტორ სოლოვიოვს კი 24 ქულა ექნება, რაც მას მესამე საპრიზო ადგილს მოუტანს.

ლიდერთა მდგომარეობა სხვა კლასებშიც გარკვეულია. შეჯიბრებას კატამარანებში („ტორნადო") ს. პრიიმაკი (უკრაინა) თითქმის 18 ქულით იგებს. დაწინაურებულები არიან „მფრინავ ჰოლანდიელში" 5 ქულით — ს. ბოროდინოვი (მოსკოვი), „სოლინგში" — 29 ქულით გ. შაიდუკი (მოსკოვი), ვაჟთა „470"-იანებში — 11 ქულით გ. მინცე (ლატვია), ქალთა „470"-იანებში — 9 ქულით ლ. მოსკალენკო (უკრაინა), „ფინის" კლასში — 25 ქულით ო. ხოპერსკი (რსფსრ), „ლუჩის" კლასში — 18 ქულით მ. მიანიკი (ესტონეთი), აქ, როგორც ვიუწყებოდით, ფოთელი ვიქტორ კოლოსოვი 56,7 საჯარიმო ქულით მეექვსე ადგილზეა.

მაშ ასე, თუ ბოლო რბოლა არ გაიმართება, ჩემპიონატის შედეგები შემოკლებული პროგრამით დადგინდება. ყოველ შემთხვევაში, მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილება ასეთი იყო და არა გვგონია, იგი შეიცვალოს.

თეიმურაზ მელაძე.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

## პირველი წრის მეორე ტურის სტარტზე

**განახლდა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატი.**

**მოსკოვი.** თბილისის დინამოელებს პირველი მატჩი სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონთან ცსკა-სთან ჰქონდათ. ტაიმი არმიელებმა მხოლოდ 4 ქულის სხვაობით მოიგეს — 41:37. ბრძოლა შესვენების შემდეგაც მძაფრი იყო. ცსკა-მ გადამწყვეტი უპირატესობა მატჩის მიწურულში მოიპოვა. აი, სწორედ, მაშინ მიაღწია 16-ქულიან სხვაობას — 88:72. თბილისის „დინამომ" 54-ე ჩემპიონატში პირველი მარცხი განიცადა.

დაძაბული გამოდგა მოსკოვის „დინამოს" შეხვედრა უმაღლესი ლიგის დებიუტანტთან ალმა-ათის ასკ-თან. ალმაათელებმა პირველი ნახევარი ერთი ქულით მოიგეს — 45:44. გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა მეორე ტაიმიც: წინ ხან ერთი კოლექტივი იყო, ხან მეორე. დინამოელებმა ეს შეხვედრა მაინც მოიგეს, თუმცა ძალზე გაუჭირდათ — 86:84.

**კიევი.** მინსკის რტი-სა და ლენინგრადის „სპარტაკის" კალათბურთელთა შეხვედრაში გამარჯვებული მხოლოდ დამატებითმა პერიოდმა გამოავლინა. პირველი ნახევარი ნევისპირელებმა 5 ქულით მოიგეს — 51:46. ძირითადი დრო კი 91:91 დამთავრდა. უძლიერესი ვერც პირველმა დამატებითმა პერიოდმა გამოავლინა — 103:103. მინსკელებმა მხოლოდ ამის შემდეგ ივარგეს და საბოლოოდ გამარჯვება მოიპოვეს — 115:107.

როგორც ყოველთვის, დაძაბული ბრძოლით აღინიშნა კიევის „სტროიტელისა" და ასკ-ს შეხვედრა. გამარჯვება არმიელმა სპორტსმენებმა მოიპოვეს — 90:77 (42:40).

კაუნასის ჯგუფში შეხვედრები არ ჩატარდა, ვინაიდან ლიტველი კალათბურთელები ევროპული ტურნირის მატჩებში მონაწილეობდნენ. აქ პირველი მატჩები დღეს გაიმართება.

**გათამაშების ცხრილი**

მდგომარეობა 10 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 5 | 4 | 1 | 436-393 | 9 |
| ასკ (კიევი) | 5 | 4 | 1 | 431-391 | 9 |
| „დინ." (თბ.) | 5 | 4 | 1 | 424-406 | 9 |
| „დინ." (მოსკ.) | 5 | 3 | 2 | 455-437 | 8 |
| „სტროით." (კ.) | 5 | 3 | 2 | 433-418 | 8 |
| რტი (მინსკი) | 5 | 3 | 2 | 420-413 | 8 |
| „სპარტ." (ლენ.) | 5 | 1 | 4 | 422-422 | 6 |
| „შახტ." (დონ.) | 4 | 2 | 2 | 321-336 | 6 |
| „ჟალგ." (კაუნ.) | 4 | 2 | 2 | 300-310 | 6 |
| ვეფ (რიგა) | 4 | 1 | 3 | 331-352 | 5 |
| „სტატ." (ვილნ) | 4 | 1 | 3 | 340-369 | 5 |
| ასკ (ალმა-ათა) | 5 | 0 | 5 | 370-436 | 5 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ვეძებთ ტალანტებს!

# ხვალინდელი ოლიმპიელი სკოლის მერხს უზის

**IX საკავშირო სპარტაკიადაზე ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილები არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში მეშვიდე ადგილზე გავიდნენ, წინა სპარტაკიადასთან შედარებით სამი საფეხურით დაწინაურდნენ. მართლაც თვალსაჩინო წინსვლაა.**

მაგრამ საკითხავია, როდის ჩაეყარა საფუძველი ამ წარმატებას. ჩვენმა სპორტსმენებმა, მწვრთნელებმა, სპორტის მესვეურებმა უშუალოდ სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში, დაახლოებით ერთი წლის მანძილზე დიდი ძალა და ენერგია დახარჯეს იმისათვის, რომ პირნათლად წარმდგარიყვნენ სპორტსმენთა ამ დიდ ფორუმზე, მაგრამ ამ წარმატებას ფესვები უფრო ღრმად აქვს გადგმული, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. აქ ზუსტი თარიღის დასახელება, რა თქმა უნდა, შეუძლებელია, მაგრამ ყველა ობიექტური მონაცემი იმაში გვარწმუნებს, რომ ყველაფერი მოსწავლეთა XII სპარტაკიადიდან, უფრო სწორად, ამ სპარტაკიადისათვის მზადების დროს დაიწყო. გულშემატკივრებს ეხსომებათ, მაშინ ჭაბუკთა სპორტისადმი გამოჩენილმა ყურადღებამ და დახმარებამ ნაყოფი გამოიღო: უზბეკეთში ჩვენი რესპუბლიკის მოსწავლეთა გუნდმა წარმატებით იასპარეზა.

გავიდა ერთი წელი და ფაქტიურად იმავე სპორტსმენებით დაკომპლექტებულმა საქართველოს ჭაბუკთა და გოგონათა ნაკრებმა ჭაბუკთა I საკავშირო თამაშებზე ისახელა თავი, წლეულს კი მოსწავლეთა და ჭაბუკთა შეჯიბრებებში ნაცადი, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ჩვენი სპორტსმენები წარმატებით გამოვიდნენ საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადაზე.

საქართველოს სპორტის სპეციალისტებს, რა თქმა უნდა, ბოლო წლებში „ამერიკა არ აღმოუჩენიათ", ისინი ნაცად, უბრალო და საიმედო გზას დაადგნენ — რეზერვის აღზრდით დაიწყეს. კაცმა რომ თქვას, ადრეც ამას გვპირდებოდნენ, მაგრამ გარკვეული პერიოდის განმავლობაში სიტყვას ყოველთვის არ მოსდევდა საქმე. ამ „შეუთავსებლობამ" ჩვენს სპორტს თავისი კვალი დაამჩნია. უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე კი, ჯერ კიდევ მოსწავლეთა სპორტში აგორებულმა ტალღამ საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადამდე მოიტანა თავისი ძალა.

საძირკველმოურყეველ სახლს საბჯენები ვერ უშველის. „დიდ სპორტშიც" ასეა, მისი მკვებავი, მაცოცხლებელი ძალა ბავშვთა სპორტია, თუ აქ არ გაიმაგრე ზურგი, შემდეგ ტიტანური შრომაც ვეღარას გიშველის. ამიტომ იყო საქართველოს სპორტსახკომმა VIII საკავშირო სპარტაკიადის დამთავრების შემდეგ პირველ რიგში ბავშვთა სპორტს რომ მიაქცია ყურადღება (მით უმეტეს, რომ ასეთი თადარიგიანობის შედეგი, როგორც უკვე ვთქვით სასპარტაკიადო შეჯიბრებაზე გამოვლინდა). — მოსწავლეთა მომავალი სპარტაკიადისათვის მზადება სრულიად სამართლიანად განიხილება, როგორც საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადებისათვის მზადება. ამიტომ სპორტსახკომის ბევრი განყოფილება, ვისაც რაიმე კავშირი აქვს რეზერვის მომზადებასთან, ამიერიდან საჭირო შემთხვევაში განათლების სამინისტროს მითითებებს დაემორჩილება. ეს სუბორდინაციის დარღვევა კი არა, მეტად გამიზნული ნაბიჯია. ასეთი ერთობლივი მუშაობის პირველ ნაყოფს მალე მივიღებთ. განათლების სამინისტრომ და სპორტსახკომმა, ჩვენი გაზეთის რედაქციასთან ერთად შეიმუშავა დებულება „სასკოლო პროგრამის მიხედვით მძლეოსნობაში მოსწავლეთა შორის მასობრივი ღონისძიებების ჩატარების შესახებ".

მაინც რატომ დავიწყეთ მძლეოსნობით? ამ კითხვაზე პასუხი სპორტის ბევრ სპეციალისტს აქვს გაცემული. სპორტის თითქმის ყველა სახეობაში ბავშვების მონაცემები „მძლეოსნური პარამეტრებით" — სისწრაფით, ძალითა და გამძლეობით იზომება. ამიტომ მწვრთნელები შეგირდებს პირველ რიგში სწორედ ამ თვისებების შეძენაში ეხმარებიან. მძლეოსანთა მძლავრი რეზერვის შექმნით ჩვენ, ფაქტიურად, ჩვენი სპორტის მომავალს ვქმნით. რა თქმა უნდა, განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლებს თავისი სტრუქტურა აქვს, მაგრამ მისი კონტინგენტი მაინც შეზღუდულია. ეს მასობრივი მძლეოსნური შეჯიბრებები კი (იგი შვიდ თვეს გრძელდება) საქართველოს ყველა კუთხე-კუნჭულს მისწვდება, უამრავ ბავშვს გამოიყვანს სარბენ ბილიკზე, სახტომ და სატყორცნ სექტორში (ასპარეზობის დებულებას აქვე გაეცნობით, ფაქტიურად ესაა იმ ღონისძიების უფრო ფართო მასშტაბში გადატანა, რაც „ლელომ" ადრე უკვე გამოაცხადა). იმედია, რომ სპორტის სპეციალისტებს მოსწავლეთა მასობრივი სტარტების პერიოდში პერსპექტიულ სპორტსმენთა არჩევის დიდი შესაძლებლობა ექნებათ.

რასაკვირველია, ამ ღონისძიების მოთავე ორგანიზაციები, ჩვენი გაზეთის ჩათვლით, ეცდებიან განუხრელად შეასრულონ დასახული ამოცანა, მაგრამ ველით მათ დახმარებასაც, ვისაც სპორტთან რაიმე კავშირი აქვს და მოზარდი თაობის აღზრდა ევალება... განსაკუთრებით ქმედითი უნდა იყოს კომკავშირული ორგანიზაციების როლი. სასიხარულოა, რომ საქართველოს კომკავშირი სულ უფრო დიდ ინტერესს იჩენს ჩვენი მოზარდების ფიზიკური აღზრდისადმი, მათი სპორტული წარმატებებისადმი. ამაში მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე, ჭაბუკთა თამაშებზე, IX საკავშირო სპარტაკიადისათვის მზადების პერიოდში დავრწმუნდით.

როგორც ხედავთ თაოსნობა მძლეოსნობაში მოსწავლეთა შორის რესპუბლიკურ-რეგიონალური შეჯიბრების ჩატარების შესახებ ფართო მასშტაბს იღებს და ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ იგი უთუოდ მოგვიტანს სასურველ შედეგს.



## დებულება

სასკოლო პროგრამის მიხედვით მძლეოსნობაში მოსწავლეთა შორის ჩასატარებელი მასობრივი ღონისძიებების მიზანი და ამოცანები:

1. მოსწავლეთა შორის მძლეოსნობის პოპულარიზაცია.
2. პერსპექტიული მძლეოსნების გამოვლენა.
3. სასკოლო პროგრამის ათვისების შემოწმება.
4. რაიონებსა და ქალაქებში გამარჯვებული კლასებისა და სკოლების გამოვლენა.

ადგილებზე გამართული შეჯიბრებების მსვლელობას უხელმძღვანელებს კომკავშირის რაიკომი, თავად შეჯიბრების ჩატარება კი განათლების ადგილობრივ განყოფილებას, ფიზკულტურის კომიტეტსა და სასპორტო სკოლას ევალება.

**შეჯიბრების მონაწილენი და ჩატარების პირობები**

შეჯიბრებაში მონაწილეობენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების IV-VII და VIII-X კლასების გუნდები.

IV-VII კლასების მოსწავლეთა შორის გამართულ შეჯიბრებაზე თითოეული კლასიდან დაიშვება 20 მოსწავლე, ხოლო VIII-X კლასების შეჯიბრებაში — 16 მოსწავლე (სპეცკლასისა და სასპორტო სკოლის მოსწავლეები შეჯიბრებაზე არ დაიშვებიან).

შეჯიბრება ჩატარდება სამ ეტაპად.

I ეტაპი. საკლასო შეჯიბრებები (1986 წლის ნოემბრამდე).

II ეტაპი. სასკოლო შეჯიბრებები (1987 წლის მარტი-აპრილი).

III ეტაპი. საქალაქო (სარაიონო) შეჯიბრება (1987 წლის 20 მაისამდე).

მესამე (ფინალურ) ეტაპზე სკოლებს უფლება აქვთ შეჯიბრებაში ამავე კლასების ნაკრები გუნდები გამოიყვანონ, გუნდის წარმომადგენელმა შეჯიბრების დღეს სამანდატო კომისიას უნდა წარუდგინოს სკოლის დირექტორის მიერ ბეჭდით დამოწმებული ინდივიდუალური და ტექნიკური განაცხადი.

**შეჯიბრების პროგრამა:**

**IV-VII კლასები.**

ვაჟები — რბენა: 60 მ; 300 მ; 600 მ; 1000 მ; სიგრძეზე ხტომა; სიმაღლეზე ხტომა; 150 გრ. ბურთის ტყორცნა; ლერძზე მიზიდვა.

გოგონები — რბენა: 30 მ; 60 მ; 300 მ; 800 მ; სიგრძეზე ხტომა; სიმაღლეზე ხტომა; 150 გრ. ბურთის ტყორცნა; ლერძზე მიზიდვა.

**VIII-X კლასები.**

ვაჟები — რბენა: 60 მ; 100 მ; 600 მ; 2000 მ; სიგრძეზე ხტომა, სიმაღლეზე ხტომა; 700 გრ. ყუმბარის ტყორცნა.

გოგონები — რბენა: 60 მ; 100 მ; 600 მ; 1500 მ; სიგრძეზე ხტომა; სიმაღლეზე ხტომა; 500 გრ. ყუმბარის ტყორცნა.

**V. გამარჯვებულთა გამოვლენა**

შეჯიბრების თითოეულ მონაწილეს უფლება აქვს გამოვიდეს პროგრამის ორ სახეობაში. მათ მიერ ნაჩვენები შედეგი გუნდურ ჩათვლაში შევა. IV-VII კლასების მოსწავლეები გამარჯვებისათვის 24 ქულას მიიღებენ, მეორე ადგილზე გასულნი — 21 ქულას, მესამეზე — 19 ქულას (მეოთხე ადგილზე 17 ქულაა დაწესებული, მეხუთეზე — 16, მეექვსეზე — 15, მეშვიდეზე — 14 და ა. შ.).

VIII-X კლასების მოსწავლეები გამარჯვებისთვის 20 ქულას მიიღებენ, მეორე ადგილზე გასულნი — 17 ქულას, მესამეზე — 15 ქულას, (მეოთხე ადგილზე 13 ქულაა დაწესებული, მეხუთეზე — 12, მეექვსეზე — 11 და ა. შ.).

გამარჯვებული კლასი მოგროვილ ქულათა ჯამის მიხედვით გამოვლინდება.

**დაჯილდოება**

გუნდი, რომელიც მესამე, დასკვნით ეტაპზე გაიმარჯვებს, ადგილობრივი განათლების განყოფილების I ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდება, ხოლო თითოეული მოსწავლე — სპორტკომიტეტის მიერ სპორტული ფორმით.

II და III ადგილებზე გასული გუნდები შესაბამისი ხარისხის დიპლომებით დაჯილდოვდებიან.

---

**საქართველოს სსრ პროფსაბჭომ, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ, საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიამ, გაზეთების „ახალგაზრდა კომუნისტის", „მოლოდიოჟ გრუზიის", „ნორჩი ლენინელის" და „ლელოს" სარედაქციო კოლეგიებმა მიიღეს ერთობლივი გადაწყვეტილება რესპუბლიკაში მოსწავლეთა შორის მასობრივ ფიზკულტურულ-სპორტული ღონისძიებების ჩატარების შესახებ.**

**დამტკიცებულია მასობრივ ფიზკულტურულ-სპორტულ ღონისძიებათა ხუთწლიანი გეგმა-კალენდარი.**

**გადაწყვეტილების სრული ტექსტი ცალკე გამოქვეყნდება.**

---

## მზად ვართ მოგემსახუროთ

**თბილისის „დინამოს" სტადიონის დირექციამ განიხილა მძლეოსნობაში რეგიონალურ-რესპუბლიკური დათვალიერება-შეჯიბრების ჩატარების თაოსანთა მოწოდება და გადაწყვიტა 19 და 26 ოქტომბერს თბილისის „დინამოს" სტადიონის ბაზები მთელი დღის განმავლობაში დაუთმოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს. ოფიციალურ განაცხადად მივიღებთ სკოლებიდან ტელეფონით შეტყობინებას. გთხოვთ დაგვირეკოთ, რათა შესაძლებლობა მოგვეცეს შევადგინოთ განრიგი — თითოეული სკოლა სტადიონზე მოვა განსაზღვრულ დროს და იასპარეზებს დროის დაუკარგავად ჩვენი ტელეფონია: 95-03-76.**

**ვაჟა ულენტი,**
**სპორტკომბინატ „დინამოს" დირექტორი.**

* * *

**გუშინ სპორტსაზოგადოება „ზენიტის" თავმჯდომარემ გივი მძელურმა გვაცნობა, რომ ამ საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს სპორტული ბაზები უსასყიდლოდ დაეთმობა მოსწავლეებს მძლეოსნობაში შეჯიბრებების ჩასატარებლად. გარდა ამისა, საზოგადოების მუშაკები ვალდებულებას იღებენ ღონისძიებების ჩატარებაში პრაქტიკული დახმარება გაუწიონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს.**

---

### გამოხმაურება მოწოდებაზე — „ვეძებთ ტალანტებს".

# სხვებიც დააინტერესა

**„ლელოს" მოწოდებამ „ვეძებთ ტალანტებს", რომლის მიზანია მოსწავლეთა შორის მძლეოსნობაში რესპუბლიკური მასობრივ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ჩატარება და პერსპექტიულ სპორტსმენთა გამოვლენა, სპორტის სხვა სახეობების წარმომადგენლებიც დააინტერესა. საქართველოს პროფსაბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილებამ რედაქციას გამოუგზავნა გეგმა-გრაფიკი ოქტომბერ-დეკემბერში დაგეგმილი ასეთივე ღონისძიებების შესახებ.**

**თავისუფალი ჭიდაობა, კლასიკური ჭიდაობა, ძიუდო.**
**(შეჯიბრებას ატარებს სპორტსაზოგადოება „განთიადი").**

**თავისუფალი ჭიდაობა:** 18-19 ოქტომბერი. გარდაბანი. ღია საკლასიფიკაციო შეჯიბრება (1973-74 წლებში დაბადებული ჭაბუკებისათვის); 1-2 ნოემბერი. „განთიადის" ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის სპეციალიზებული სპორტული სკოლის ღია პირველობა (1972-73 წწ.); 30 ნოემბერი. „ღია ხალიჩა" (1974-75 წწ.), თბილისი, სპორტული კლუბი „მეგობრობა". 20-21 დეკემბერი. „ღია ხალიჩა" (1974-75 წწ), გარდაბანი, რუსთავი.

**კლასიკური ჭიდაობა:** 6-7 ოქტომბერი. საკლასიფიკაციო შეჯიბრება (1973-75 წწ); 13-14 დეკემბერი; სპორტსკოლის ღია პირველობა, თბილისი, ორივე შეჯიბრებას უმასპინძლებს სპორტული კლუბი „ფეიქარი". **ძიუდო:** 25-26 ოქტომბერი. საკლასიფიკაციო შეჯიბრება (1973-75 წწ.), სპორტულ კლუბ „ფეიქრის" დარბაზი (თბილისი), დუშეთი; 22-23 ნოემბერი. „ღია ხალიჩა" (1973-74 წწ.), დუშეთი, გორი. 7 დეკემბერი. სკოლის ღია პირველობა (1972-73 წწ.), რუსთავი.

**ქართული ჭიდაობა, მინი ფეხბურთი, ფრენბურთი.**
**(შეჯიბრებას ატარებს „კოლმეურნის" რესპუბლიკური საბჭო).**

**ქართული ჭიდაობა.** 29-30 ნოემბერი. მასობრივი შეჯიბრებები 18 წლამდე მოზარდებისთვის. შეჯიბრებები ჩატარდება რესპუბლიკის სოფლებში.

**მინი ფეხბურთი.** 20-21 დეკემბერი. შეჯიბრებები ყველგან ჩატარდება დახურულ დარბაზში.

**ფრენბურთი.** 27-28 დეკემბერი. მასობრივი შეჯიბრებები. ადგილობრივ დარბაზებში.

---

## „ლელოს" რესპუბლიკურ-რეგიონალური დათვალიერება-შეჯიბრება მძლეოსნობაში

### ანკეტის შევსების წესი:

1. ანკეტის ყველა კითხვას პასუხი უნდა გაეცეს მოკლედ და მკაფიოდ.

2. ანკეტა ცალ-ცალკე ივსება იმ მოსწავლეებზე, რომლებმაც პირველი, მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს კლასებში, კლასებს შორის და სკოლებს შორის გამართულ შეჯიბრებებში (ცალკეული პროგრამის მიხედვით).

3. პრიზიორების ანკეტა თითოეული შეჯიბრების შემდეგ დაუყოვნებლივ იგზავნება რედაქციაში.

4. ანკეტის ნიმუში შეიძლება თავად გადაიღოთ თუნდაც სასკოლო რვეულის ფურცელზე.

5. შეჯიბრების ყველა ეტაპზე გამოვლენილ პრიზიორთა ანკეტები გამოაგზავნეთ მისამართით: თბილისი-96, ლენინის 14, „ლელო", კონკურსისათვის „ვეძებთ ტალანტებს".

ანკეტა უნდა შეივსოს და რედაქციაში გამოიგზავნოს ყველა შეჯიბრების ჩატარების შემდეგ.

# თვითინიციატივა, აქტიური დასვენება, ჯანმრთელობა

**როგორც ვიუწყებოდით, 7 ოქტომბერს, რესპუბლიკაში ყველგან გაიმართა სსრ კავშირის კონსტიტუციის დღისადმი მიძღვნილი მასობრივ-გამაჯანსაღებელი და სპორტული ღონისძიებები. დღეს გთავაზობთ რამდენიმე ინფორმაციას.**

**თბილისი:** დედაქალაქში, მის უბნებში, სპორტულ ბაზებზე, ამ დღეს ნამდვილი მასობრივი ზეიმი იყო. ათივე რაიონში გაიმართა კონსტიტუციის დღისადმი მიძღვნილი მასობრივ-გამაჯანსაღებელი და სპორტული შეჯიბრებები: სტარტზე გამოვიდნენ თბილისის ათივე რაიონის წარმოება-დაწესებულებების ფიზკულტურის კოლექტივების წარმომადგენლები — სულ 443 კოლექტივი. მოეწყო შეხვედრები სპორტის, შრომისა და ომის ვეტერანებთან, სახელოვან სპორტსმენებთან.

განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო საქარხნო რაიონში გამართული ღონისძიებები. აქ ამ ღონისძიებებს სათავეში ჩაუდგნენ რაიონის საბინაო ტრესტი და საშეფო ორგანიზაციები. ღონისძიებების ჩატარებაში განსაკუთრებით იაქტიურეს ფიზკულტურის მეთოდისტებმა ჯუმბერ ხურციძემ (საბინაო ტრესტი), ზურაბ დვალიშვილმა (საწარმოო გაერთიანება „სიხარული"), მერაბ ოსიევმა (76-ე საშუალო სკოლა).

**ბათუმი.** ქალაქის სპორტკომიტეტის ინიციატივით პიონერთა პარკში მოეწყო მასობრივი კროსი, რომელშიც მონაწილეობდნენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, პროფტექნიკური და საშუალო ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეები, ბათუმის პედინსტიტუტის სტუდენტები. სტარტზე 30 ათასი კაცი გამოვიდა.

საცხოვრებელ ადგილებში მდებარე მარტივი ტიპის მოედნებზე გაიმართა შეჯიბრებები „მთელი ოჯახით სტარტზე".

სულ აჭარაში ამ დღეს საასპარეზოდ გამოვიდა 60 ათასი კაცი. შეჯიბრების პროგრამაში იყო მასობრივი კროსები, ბაგირის გადაძალვა, მინიფეხბურთი... გამოვლინდა სამი საუკეთესო კოლექტივი: ბათუმის 1-ლი საშუალო სკოლის, 44-ე პროფტექნიკური სასწავლებლის და ხის დამამუშავებელი კომბინატის გუნდები. აღსანიშნავია ქალაქის სპორტკომიტეტის, მე-6 საბინაო-საექსპლოატაციო კანტორის, სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" ხელვაჩაურის რაისაბჭოს თანამშრომელთა კარგი საორგანიზაციო მუშაობა.

ლევან ქავჟარაძე,
„ლელოს" საკ. კორ.

**სოხუმი.** აფხაზეთის მთებში, ჩუმკუსბას წვერზე ასვლაზე ბევრს უოცნებია. ეს ოცნება კონსტიტუციის დღეს 26 მოსწავლესაც აუსრულდა. მოლაშქრეებმა — სოხუმის მე-15 საშუალო სკოლის ბაზაზე შექმნილი მძლეოსნური სექციის წევრებმა, რომელთაც სპორტის ოსტატი ანატოლი კოსტინი ხელმძღვანელობდა, ჩუმკუსბას წვერზე პირველად შედგეს ფეხი.

ალექსი ჩაჩავა,
აფხაზეთის „სპარტაკის" საოლქო საბჭოს თავმჯდომარე.

**ქუთაისი.** აქ ამ დღეებში ქალაქის სპორტკომიტეტის მიერ წინასწარ შემუშავებული გეგმით შესაძლებელი გახდა ქუთაისის ყველა სპორტული ბაზის მაქსიმალური დატვირთვა. სპორტული სარბიელი მუშა-მოსამსახურეებს დაეთმოთ. თავდაპირველად შეჯიბრებები გაიმართა გამაჯანსაღებელ ჯგუფებს შორის. შემდეგ მოეწყო წვევამდელთა ტრადიციული სპარტაკიადა მშდ-ს მრავალჭიდში, ლენინისა და ავტოქარხნის რაიონების სპორტკომიტეტებმა კი საოჯახო სპარტაკიადები გამართეს. გარდა ამისა, საქალაქო პირველობები ჩატარდა სამბოსა და ძიუდოში. „განთიადის" საქალაქო საბჭომ მოაწყო მასობრივი ასპარეზობა დევიზით „მთელი ბრიგადით სტადიონზე", რომელშიც 50 ბრიგადის 800-მდე წევრმა მიიღო მონაწილეობა. ჩატარდა სხვა მასობრივი ღონისძიებებიც.

„ლელოს" საკ. კორ.

**რუსთავი.** სპორტული ღონისძიებების ქალაქის ბევრ კუთხეში გამართვას აქ კარგმა ამინდმაც შეუწყო ხელი.

განსაკუთრებით საინტერესო იყო კულტურისა და დასვენების საქალაქო პარკის ტბაზე გამართული ნიჩბოსანთა შეჯიბრება. პარკშივე მოეწყო კროსი, რომლის სტარტზე 300 მონაწილე გამოვიდა.

რუსთაველმა სპორტის მოყვარულებმა ამ დღეს კარგა ხნის ნანატრი საჩუქარიც მიიღეს — საზეიმო ვითარებაში გაიხსნა სასტენდო სროლის თანამედროვე სპორტული ბაზა. აქ გაიმართა რესპუბლიკის უძლიერეს მსროლელთა საჩვენებელი გამოსვლები, რომელშიც მონაწილეობდნენ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები და რეკორდსმენები, სპორტის დამსახურებული ოსტატები ფამაზ იმნაიშვილი და ტარიელ ჟღენტი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი თემურ მატოიანი, სპორტის ოსტატი გია შენგელია და სხვები.

ამ დღეს განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი სპორტკლუბ „ფოლადის", მუსიკალური სასწავლებლისა და № 86 პროფტექსასწავლებლის კოლექტივებმა.

კარლო შენგელია,
რუსთავის საქალაქო სპორტკომიტეტის თავმჯდომარე.

**ტყიბული.** აქ გაიმართა საჩვენებელი გამოსვლები კრივში, სადაც 33 კაცი მონაწილეობდა. საქალაქო კროსის სტარტზე 23 ფიზკულტურული ორგანიზაციის 200-მდე წარმომადგენელი გამოვიდა, ხოლო მოჭადრაკეთა შეჯიბრებაში — 37.

დაგეგმილი იყო სხვა მასობრივი შეჯიბრებების გამართვაც, მაგრამ, სამწუხაროდ, უამინდობამ ეს შეუძლებელი გახადა.

ზაურ ახვლედიანი,
„სპარტაკის" საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე.

**ცაგერი.** ქალაქის სპორტულ დარბაზში მაგიდის ჩოგბურთის 50 მოყვარული შეიკრიბა. აქ ყველას მირზა ლიპარტელიანმა აჯობა. შემდეგ 31-ე პროფტექნიკური სასწავლებლის დახურულ ტირში 12 ფიზკულტურული კოლექტივი შეეჯიბრა ერთმანეთს. ვაჟთა შორის მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლაში საუკეთესო შედეგი აჩვენა დავით მუშკუდიანმა. ქალთა შორის გაიმარჯვა მაყვალა ხაბულიანმა. გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავა 91-ე პროფტექნიკური სასწავლებლის გუნდმა. უამინდობის გამო სხვა სპორტული შეჯიბრებები არ გამართულა.

„ლელოს" კორ.

**წყალტუბო.** სარბიელზე 5750-მდე კაცი გამოვიდა. ფეხბურთში, ფრენბურთში, მძლეოსნურ ესტაფეტაში და ჭადრაკში გამართულ შეჯიბრებებში შესაბამისად გაიმარჯვეს მაღლაკის, გეგუთის საბჭოთა მეურნეობების, რაიონული პროფკავშირისა და სოფელ წყალტუბოს კოლმეურნეობის გუნდებმა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობეს მაღლაკელებმა.

შეჯიბრების ორგანიზაციას კარგად გაართვეს თავი აქტივისტებმა ნუგზარ ურუშაძემ, გიგლა სანებლიძემ და რომან ჩიხლაძემ.

ჯუსტან კუხალაშვილი,
„კოლმეურნის" რაიონული საბჭოს თავმჯდომარე.

**ლანჩხუთი.** გაიმართა ამხანაგური შეხვედრები ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის ფეხბურთში. შეჯიბრებაში, რომელშიც 12 გუნდი მონაწილეობდა, პირველი ადგილი დაიკავა ლანჩხუთის ტექნიკუმის ფეხბურთელთა გუნდმა. 1000-1500 მეტრზე კროსში ლანჩხუთის № 1 საშუალო სკოლის მძლეოსნებმა გაიმარჯვეს.

„ლელოს" კორ.

**გეგეჭკორი.** აქ გამართულ შეჯიბრებებში 3200 კაცმა მიიღო მონაწილეობა. მასობრივ კროსში — „ქალაქის რკალი" (2 კმ გოგონებისთვის და 3 კმ ვაჟებისთვის), რომელშიც 500-ზე მეტი ფიზკულტურელი მონაწილეობდა, გაიმარჯვა მესამე სკოლის გუნდმა. მეორე ადგილზე გავიდნენ მეორე სკოლის ფიზკულტურელები, მესამეზე — პირველი სკოლის მძლეოსნები.

რაიონის სპორტკომიტეტის ინფორმაცია.

**სამტრედია.** მრავალფეროვანი იყო აქ გამართულ სპორტულ ღონისძიებათა პროგრამა. შეჯიბრებები გაიმართა ფეხბურთში, კალათბურთში, მასობრივ რბენაში. საცხოვრებელ ადგილებში „მხიარული სტარტები" მოეწყო. ჩატარდა მასობრივი ლაშქრობაც, სულ ზეიმში 2000-მა სპორტის მოყვარულმა მიიღო მონაწილეობა.

„ლელოს" კორ.

**ზუგდიდი.** სოფელ კახათის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის მოედანზე ინგირის, ოქტომბრის, ოდიშის, ჯიხასკარის კოლმეურნეობათა ფიზკულტურულმა კოლექტივებმა შეჯიბრებები გამართეს ფეხბურთსა და ფრენბურთში. ამავე სახეობებში შეეჯიბრნენ ერთმანეთს დარჩელისა და შამგონის კოლმეურნეები. კახათის კოლმეურნეობის იპოდრომზე საჩვენებელი გამოსვლები მოეწყო ცხენოსნობაში. ორსანტიის საბჭოთა მეურნეობაში გაიმართა მასობრივი ღონისძიებები. სარბიელზე გამოვიდნენ რუსული ფალავნები. ზედა ეწერის საბჭოთა მეურნეობაში მეურნეობისა და ჩაის ფაბრიკის მუშაკთა მონაწილეობით მასობრივი სპორტული ღონისძიებები ჩატარდა მძლეოსნობასა და ველოსპორტში. კომუნალური მომსახურების, კავშირგაბმულობის № 7 ტექნიკური კვანძის, ადგილმრეწველობის, მექანიკური კომბინატისა და ჩაის კომბინატის 150-მა მშრომელმა ტურისტული ლაშქრობა მოაწყო წალენჯიხის რაიონის სოფელ ჭყვალერში.

„ლელოს" კორ.

**მახარაძე.** ავდრის მიუხედავად, მასობრივ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო სპორტის 2000-მდე მოყვარულმა. კულტურისა და დასვენების პარკში ჩატარდა რაიონის პირადი პირველობა ქართულ ჭიდაობაში, რომელშიც ორასამდე ფალავანმა მოსინჯა მკლავისა და მუხლის ძალა. მოეწყო „ტყავის ბურთის" პრიზის რაიონული გათამაშების ფინალური მატჩი ლაითურელ და ნატანებელ მოსწავლეთა შორის. ქალაქის ცენტრალურ სტადიონზე ჩატარდა მოსწავლეთა რაიონული პირველობა მძლეოსნობაში. სპორტულ ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ქალაქ მახარაძის კოლმეურნეობის, ლაითურის მეურნეობა-ტექნიკუმისა და მერიის კოლმეურნეობებმა, შრომის, ნატანებისა და ლაითურის საშუალო სკოლების მოსწავლეებმა. თავი გამოიჩინეს აქტივისტებმა გიორგი დვალიშვილმა, გიორგი ერქომაიშვილმა და მიხეილ ხაბელაშვილმა.

რაიონის სპორტკომიტეტის ინფორმაცია.

**თერჯოლა.** საშუალო სკოლების მასწავლებელთა საოჯახო სპარტაკიადა, რაიონის პირველობა ჭადრაკში „გამსვლელი პაიკის" პრიზზე, რაიონის პირველობა მძლეოსნობაში, „კოლმეურნის" რაისაბჭოს თასის გათამაშების ფინალური მატჩი ფეხბურთში, საქართველოს საფეხბურთო პირველობის კალენდარული მატჩი — ასეთი იყო კონსტიტუციის დღისადმი მიძღვნილ სპორტულ ღონისძიებათა პროგრამა, რომელშიც 640-მა ენთუზიასტმა მიიღო მონაწილეობა. აღსანიშნავია, რომ ამ ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობა მიიღეს თერჯოლის სანერგე და ჭოგნარის საბჭოთა მეურნეობების, თერჯოლის ავტოსატრანსპორტო კანტორის მუშაკებმა, თავი გამოიჩინეს აქტივისტებმა ვახტანგ კახიძემ, გივი მესხმა და გივი ბერიშვილმა.

„ლელოს" კორ.

**ბორჯომი.** 700-მდე კაცმა მიიღო მონაწილეობა კონსტიტუციის დღისადმი მიძღვნილ მასობრივ სპორტულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში. საწარმო-დაწესებულებების მუშაკები, საშუალო სკოლების მოსწავლეები ბორჯომის სტადიონზე შეიკრიბნენ. აქ ჩატარდა შეჯიბრებები მძლეოსნობაში. სანატორიუმ „ლიკანის" საკონცერტო დარბაზში საერთაშორისო ოსტატმა იური ანიკაევმა ჭადრაკში ერთდროული თამაშის სეანსი გამართა 13 დაფაზე — ერთი შეხვედრა ფრედ დაამთავრა, დანარჩენი — მოიგო.

„ლელოს" კორ.

**დუშეთი.** რაიონის 860 ფიზკულტურელი მონაწილეობდა კონსტიტუციის დღისადმი მიძღვნილ შეჯიბრებებში. ასპარეზობები გაიმართა სპორტის ხუთ სახეობაში: ფეხბურთში, ფრენბურთში, კალათბურთში, მძლეოსნობაში და ქართულ ჭიდაობაში. ფეხბურთში პირველობა არავის დაუთმო ბაზალეთის კოლმეურნეობის გუნდმა, კალათბურთში გაიმარჯვა ჟინვალჰესის ნაკრებმა, მძლეოსნობაში — დუშეთის პირველი საშუალო სკოლის კოლექტივმა, ფრენბურთში — ფასანაურის კოლმეურნეობის ფიზკულტურელებმა. ქართულ ჭიდაობაში ბადალი არ ჰყავდათ შუახევის საბჭოთა მეურნეობის ფალავნებს. გარდა ამისა, გამოვლინდა ფიზკულტურის სამი საუკეთესო აქტივისტი. ესენი არიან დუშეთის პირველი საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი ბარძიმ სიამაშვილი, ბაზალეთის კოლმეურნეობის ფიზკულტურის მეთოდისტი ტარიელ ებიტაშვილი და შუახევის საბჭოთა მეურნეობის ფიზკულტურის მეთოდისტი გელა ოდიშვილი.

რაიონის სპორტკომიტეტის ინფორმაცია.

**ახმეტა.** სარბიელზე 1000-მდე ფიზკულტურელი და სპორტსმენი გამოვიდა. სოფლებში ჩატარდა შეჯიბრებები ფეხბურთში, კალათბურთში, ფრენბურთში, მოკლე მანძილებზე რბენაში. ახმეტის სტადიონზე გაიმართა ფეხბურთელთა სარაიონო პირველობის ფინალი. საკონსერვო ქარხნის გუნდმა ანგარიშით 3:1 დაამარცხა სოფელ საკობიანოს (პანკისის საბჭოთა მეურნეობა) ნაკრები.

გაიმართა ჭაბუკ სამბისტთა პირადი პირველობაც. როგორც იცით, ახმეტელმა სამბისტებმა წარმატებით იასპარეზეს გორლოვკაში გამართულ საკავშირო ტურნირზე, რომელიც პერსპექტიული მოჭიდავეების გამოვლენას და ახალი გუნდის დაკომპლექტებას ისახავდა მიზნად.

სპორტული ზეიმის მოწყობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ქისტაურის საშუალო სკოლის მასწავლებელმა ზურაბ შაველაშვილმა, ქვემო ალვანის ფიზკულტურის მეთოდისტმა ანატოლი ქოჩიაშვილმა, ფეხბურთელთა მწვრთნელმა ნიკო ფედოტოვმა და სხვებმა.

რაიონის სპორტკომიტეტის ინფორმაცია.

**წითელწყარო.** რაიონის საშუალო სკოლებმა და სხვადასხვა ორგანიზაციებმა 7 ოქტომბერს მოწყობილ სპორტულ ზეიმზე თავიანთი გუნდები გამოიყვანეს. საუკეთესო ფიზკულტურული კოლექტივის სახელი მოიპოვეს № 1 საშუალო სკოლისა და სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის გუნდებმა. შეჯიბრებათა უმრავლესობა წითელწყაროს სტადიონზე გაიმართა: ასპარეზობა ჩატარდა ფეხბურთში, ფრენბურთში, კალათბურთში, სიმძიმეების აწევაში, ქართულ ჭიდაობაში. გაიმართა მოჭადრაკეთა შეხვედრებიც. ზეიმის ორგანიზაციაში დიდი წვლილი შეიტანეს აქტივისტებმა ივანე ნიკოლაიშვილმა, ვაჟა ანდრიაშვილმა, თამაზ კარიაშვილმა, გიორგი ბოსტაშვილმა.

„ლელოს" კორ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## SOS

## [illegible] შეგვინარჩუნონ

ცხინვალის პირველი ქართული საშუალო სკოლა ერთ-ერთი უძველესი სკოლაა სამხრეთ ოსეთში. 1981 წელს სკოლამ არსებობის 100 წლისთავი იზეიმა. სამწუხაროდ, ამ ხნის მანძილზე სკოლას სპორტული დარბაზი არ ჰქონია. დარბაზის აშენება მრავალჯერ ვითხოვეთ, მაგრამ ყურადღება არავინ მოგვაქცია, მართალია, მშენებლობისათვის ხარჯთაღრიცხვა და პროექტი შედგა (შედგა სამ ვარიანტად), რისთვისაც მაშინ 3710 მანეთი გადაიხადეს, მაგრამ გაუგებარია, რად შეადგინეს ეს პროექტები და რად გადაგვახდევინეს ამდენი თანხა, თუკი დარბაზს არ აგვიშენებდნენ.

ახლა სხვა სადარდებელ-საფიქრალიც გაგვიჩნდა.

სკოლის ეზოში საკუთარი ძალებით სპორტული მოედნები მოვაწყვეთ. გვაქვს ყველაფერი, რაც საჭიროა ფიზკულტურის გაკვეთილების ჩასატარებლად: ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის მოედნები, სარბენი ბილიკი. ერთი სიტყვით, კეთილმოწყობილი ღია მოედნები გვაქვს, მაგრამ, სამწუხაროდ, ქალაქის საბჭომ განათლების საოლქო სამმართველოსთან შეთანხმებით გადაწყვიტა სკოლის სპორტულ მოედანზე საბავშვო ბაღი და გახანგრძლივებული დღის სკოლა ააგონ.

დაგვეხმარეთ, დარბაზის იმედი აღარ გვაქვს, იქნებ ეს ეზო მაინც შევგვინარჩუნოთ.

გ. დევიძე,
ცხინვალის პირველი ქართული საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი.

• • •

რედაქცია დაუყოვნებლივ ელოდება პასუხს სამხრეთ ოსეთის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და განათლების საოლქო სამმართველოდან.

## კვლავ უმაღლეს ლიგაში

ამ დღეებში „ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართა რეგბისტთა საკავშირო ჩემპიონატის ბოლო მატჩები „ბ" ფინალურ ჯგუფში. თბილისის „ლოკომოტივმა" ლვოვის „სოკოლს" უმასპინძლა. ზედმეტია ამ შეხვედრათა მნიშვნელობაზე ლაპარაკი: ერთი მოგების ან ორი მატჩის ფრედ დამთავრების შემთხვევაში თბილისელები უმაღლეს ლიგაში რჩებოდნენ, „სოკოლი" კი უნდა გამოთხოვებოდა მას. სწორედ ამიტომ გაიმართა პირველივე მატჩში მძაფრი ბრძოლა. სანახაობრივად თამაში მიმზიდველი ვერ გამოდგა, რადგან ისედაც დამაბულ მოთამაშეებს ამინდმაც არ შეუწყო ხელი. სულ ორადორ ხუთწუთიან მონაკვეთში შეძლო „ლოკომოტივმა" მაყურებლებისათვის კარგი თამაში ეჩვენებინა. 18 წლის მარჯანიშვილმა მე-13 და 51-ე წუთებზე ორი საჯარიმო შეაგდო და „ლოკომოტივი" დააწინაურა. 75-ე წუთზე მეტრეველმა კარგად ისარგებლა ჰეიშვილის დიაგონალური დარტყმის მოგერიებისას ლვოველთა ფრთის სამმეოთხედელის მიერ დაშვებული შეცდომით და ლელოს გატანით მატჩის ბედი გადაწყვიტა (მარჯანიშვილმა რეალიზაციაც ზუსტად შეასრულა). 12:0 — ასეთი ანგარიშით გაიმარჯვა „ლოკომოტივმა", რომლის ღირსებას იცავდნენ ლუდუშაური, მეტრეველი, შერაზადიშვილი, მარჯანიშვილი, ჩანთიძე, ჰეიშვილი, გაბრიჩიძე, შუბითიძე (გიორგაძე), კაკაბაძე (გიორგობიანი), ბაკურაძე, კაშია, ნ. ხარშილაძე, გიუნაშვილი, მონიავა (კეიდია), გურული (ნ. ხვედელიძე).

მეორე მატჩი „ლოკომოტივმა" წამყვანი მოთამაშეების გარეშე ჩაატარა და დამარცხდა ანგარიშით 6:28. თბილისელთაგან ორი საჯარიმო ისევ მარჯანიშვილმა შეაგდო.

ამრიგად, თბილისის „ლოკომოტივმა" წლევანდელ საკავშირო ჩემპიონატში 11 თამაში მოიგო, 2 ფრედ დაამთავრა, 8 — წააგო, „ბ" ფინალურ ჯგუფში მეოთხე ადგილი დაიკავა და გაისად კვლავ უმაღლეს ლიგაში იასპარეზებს. „სოკოლი" მეხუთე ადგილზე, ანუ უმაღლესი ლიგის მიღმა დარჩა.

# დღეს პარიზში

დღეს პარიზის „პარკ დე პრენსის" სტადიონზე გაიმართება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდებიან ევროპის III ჯგუფის ფავორიტები — საფრანგეთისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდები.

სადღეისოდ მდგომარეობა ამ ჯგუფში ასეთია:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ისლანდია | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| 2. სსრ კავშირი | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 3. გდრ | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| 4. საფრანგეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| 5. ნორვეგია | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |

სსრ კავშირის ნაკრები გუშინ პარიზს გაემგზავრა. გუნდის უფროსი მწვრთნელია ვ. ლობანოვსკი, თანაშემწეები — ნ. სიმონიანი, ი. მოროზოვი, ს. მოსიაგინი. **მეკარეები** — რ. დასაევი, ვ. ჩანოვი; **მცველები** — ვ. ბესონოვი, ა. დემიანენკო, ო. კუზნეცოვი, თ. სულაქველიძე, ა. ჩივაძე, ვ. ხიდიატულინი; **შუა ხაზისა და თავდასხმის მოთამაშეები** — ს. ალეინიკოვი, ი. ბელანოვი, ო. ბლოხინი, ა. ზავაროვი, გ. ლიტოვჩენკო, ვ. რაცი, პ. იაკოვენკო, ს. როდიონოვი.

საკავშირო ტელევიზია მატჩს პირველი პროგრამით გადასცემს 23 საათიდან თბილისის დროით.

## I ლიგა

8 ოქტომბერს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მე-40 ტურის შეხვედრები.

**„გურია" (ლანჩხუთი) — „ნისტრუ" (კიშინიოვი) 4:1 (3:0) ლანჩხუთი. „გურიის" სტადიონი. 8 ოქტომბერი.**

**„გურია":** მჭედლიძე, კონდრატიევი, დანელია, ე. თევზაძე, მელიქია, ებანოიძე (შვეცოვი), კოპალეიშვილი, მ. თევზაძე (ტუებუჩავა, ი. იმნაძე), ჩხაიძე, ფრიდონაშვილი, აკოფიანი.

**„ნისტრუ":** ჩებოტარი, ხკალი, ი. კარასი, სიროტიუკი, ე. კარასი, ბერეზოვსკი, ტაბანოვი, ტიუნიკოვი, მაცურა, ვლასენკო (ხრომოვი), ბულოშენკო.

მსაჯი ი. სავჩენკო (მოსკოვი).

ლიგის ერთ-ერთი ლიდერისა და ერთპიროვნული აუტსაიდერის მატჩი ლიდერის სრული უპირატესობით წარიმართა: მასპინძლებმა მსაჯის პირველი სასტვენისთანავე ხელთ აიღეს ინიციატივა და შემდგომშიც სრულ უპირატესობას მიაღწიეს როგორც ტექნიკურ-ტაქტიკური და ფიზიკური შესაძლებლობებით, ისე საბრძოლო განწყობითაც. მიმდინარეობდა მე-6 წუთი, როცა კოპალეიშვილმა გარღვევაზე გაიყვანა აკოფიანი, ეს უკანასკნელი შეიჭრა მეტოქის საჯარიმო მოედანზე და გახსნა ანგარიში — 1:0. მცირე ხნის შემდეგ ფრიდონაშვილმა ძელს მოახვედრა ბურთი, შემდეგ კი, 35-ე წუთზე, „ნისტრუს" მცველებმა აკრძალული ხერხით წააქციეს ებანოიძე. მსაჯმა 11-მეტრიანი დანიშნა, დარტყმა კი ზუსტად შეასრულა ფრიდონაშვილმა — 2:0.

ტაიმის დასასრულს კოპალეიშვილმა ფრიდონაშვილის გადაცემით მეტად ეფექტური გოლი გაიტანა სტუმართა კარში — 3:0.

„გურიას" შესვენების შემდეგაც არ დაუთმია ინიციატივა, 85-ე წუთზე კოპალეიშვილი — ფრიდონაშვილის კომბინაცია ზუსტი დარტყმით დამთავრდა — 4:0 და უკვე ამის მერე, როცა მატჩის დამთავრებას ორიოდე წუთი აკლდა, მაცურამ შეძლო ერთადერთი საპასუხო ბურთის გატანა.

ლანჩხუთელი ფეხბურთელები წარმატებით განაგრძობენ ბრძოლას უმაღლესი ლიგის საგზურის მოსაპოვებლად.

**ავთანდილ ყორღოცაძე.**
**(ტელეფონით, ჩვენი კორ.).**

**იმავე დღეს ბათუმის დინამოელები ხმოლენსკში შეხვდნენ „ისკრას" და სტუმრად კვლავ შეძლეს ქულის აღება — 0:0.**

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „კუზბასი" (კემეროვო) — „ფაკელი" (ვორონეჟი) 2:1, ასკ (ხაბაროვსკი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი) 3:1, „შინიკი" (იაროსლავლი) — „კოტაიკი" (აბოვიანი) 0:1, „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) — ასკ „კარპატი" (ლვოვი) 2:0, „როტორი" (ვოლგოგრადი) — „პამირი" (დუშანბე) 3:0, „როსტსელმაში" (დონის როსტოვი) — „ატლანტასი" (კლაიპედა) 1:0, „დინამო" (სტავროპოლი) — „დაუგავა" (რიგა) 1:1, „კოლოსი" (ნიკოპოლი) — ასკ (დონის როსტოვი) 1:0, „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) — „ყუბანი" (კრასნოდარი) 2:0.

**I ლიგის შემდგომი, 41-ე ტურის მატჩები გაიმართება 14 ოქტომბერს. ლანჩხუთის „გურია" ტაშკენტში შეხვდება „ფახთაქორს", ხოლო ბათუმის დინამოელები შინ მიიღებენ ხაბაროვსკის არმიელთა გუნდს.**

### გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 11 ოქტომბრისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დაუგავა" | 38 | 22 | 10 | 6 | 71-38 | 54 |
| „გურია" | 38 | 22 | 5 | 11 | 62-54 | 49 |
| ცსკა | 38 | 20 | 8 | 10 | 53-33 | 48 |
| „როტორი" | 38 | 21 | 4 | 13 | 65-45 | 46 |
| „პამირი" | 38 | 17 | 10 | 11 | 59-38 | 44 |
| ასკ „კარ." | 39 | 17 | 10 | 12 | 56-45 | 44 |
| „ლოკომტ." | 38 | 16 | 11 | 11 | 49-38 | 43 |
| „დინამო" ბ. | 38 | 17 | 8 | 13 | 40-46 | 42 |
| „როსტსელ." | 38 | 16 | 10 | 12 | 67-54 | 42 |
| „კოლოსი" | 38 | 15 | 11 | 12 | 37-37 | 41 |
| „შინიკი" | 39 | 14 | 13 | 12 | 35-31 | 40 |
| ასკ რ. | 38 | 15 | 9 | 14 | 49-39 | 39 |
| „მეტალურ." | 38 | 15 | 8 | 15 | 48-43 | 38 |
| „ფაკელი" | 38 | 15 | 7 | 16 | 42-39 | 37 |
| „ფახთაქ." | 38 | 14 | 8 | 16 | 46-54 | 36 |
| „სპარტაკი" | 38 | 12 | 12 | 14 | 52-51 | 36 |
| „კუზბასი" | 38 | 11 | 12 | 15 | 46-53 | 34 |
| „დინ." სტ. | 38 | 10 | 13 | 15 | 50-49 | 32 |
| „ყუბანი" | 38 | 10 | 13 | 15 | 31-39 | 32 |
| „კოტაიკი" | 38 | 10 | 12 | 16 | 34-43 | 32 |
| ასკ ხ. | 38 | 10 | 11 | 17 | 42-52 | 31 |
| „ისკრა" | 39 | 10 | 11 | 18 | 26-50 | 31 |
| „ატლანტასი" | 38 | 7 | 10 | 21 | 31-60 | 24 |
| „ნისტრუ" | 39 | 5 | 8 | 26 | 26-88 | 18 |

## II ლიგა

**9 ოქტომბერს** შედგა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების 28-ე ტურის მატჩები: „დინამო" (სოხუმი) — „კოლხოზჩი" (აშხაბადი) 2:1, „კოლხეთი" (ფოთი) — „გიანჯლიკი" (ბაქო) 3:0, „შირაკი" (ლენინაკანი) — „არაზი" (ნახიჩევანი) 1:2, „მეტალურგი" (რუსთავი) — „ყარაბახი" (სტეფანაკერტი) 4:1, „სპარტაკი" (ოქტემბერიანი) — „დილა" (გორი) 3:0, „ოლიმპია" (აშტარაკი) — „ლოკომოტივი" (თბილისი) 1:2, „ქიაფაზი" (კიროვაბადი) — „მეშახტე" (ტყიბული) 4:0, „ავტომობილისტი" (მინგეჩაური) — „ლოკომოტივი" (სამტრედია) 3:1.

29 სექტემბრის გადატანილი მატჩი „კოლხოზჩისა" და „ქიაფაზს" შორის დამთავრდა ფრედ — 0:0.

### II ლიგა, IX ზონა

### გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 11 ოქტომბრისათვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ქიაფაზი" | 27 | 19 | 4 | 4 | 61-21 | 42 |
| „დინამო" ს. | 28 | 18 | 3 | 7 | 50-27 | 39 |
| „კოლხეთი" | 28 | 16 | 2 | 10 | 51-42 | 34 |
| „დილა" | 28 | 14 | 4 | 10 | 39-35 | 32 |
| „ავტომობ." | 28 | 14 | 2 | 12 | 57-39 | 30 |
| „მეტალურ." | 28 | 13 | 4 | 11 | 46-41 | 30 |
| „სპარტაკი" | 28 | 13 | 4 | 11 | 35-35 | 30 |
| „გიანჯლ." | 27 | 12 | 5 | 10 | 40-25 | 29 |
| „ლოკომ." ს. | 28 | 12 | 5 | 11 | 36-36 | 29 |
| „ყარაბახი" | 28 | 12 | 2 | 14 | 50-46 | 26 |
| „მეშახტე" | 28 | 10 | 6 | 12 | 31-41 | 26 |
| „არაზი" | 28 | 10 | 6 | 12 | 26-44 | 26 |
| „ლოკ." თბ. | 28 | 9 | 4 | 15 | 23-40 | 22 |
| „შირაკი" | 28 | 9 | 3 | 16 | 25-38 | 21 |
| „კოლხოზჩი" | 28 | 8 | 3 | 17 | 28-42 | 19 |
| „ოლიმპია" | 28 | 4 | 3 | 21 | 20-66 | 11 |

## საქართველოს პირველობა

ამ დღეებში გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის კალენდარული შეხვედრები.

### I ლიგა

### I-XII ადგილები

**„კახეთი" (თელავი) — „სამეგრელო" (ჩხოროწყუ) 0:1. მსაჯი ე. ხილაგავა (თბილისი).** გოლი: კვირკველია („სამეგრელო").

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს „კახეთის" ფეხბურთელი მ. ბიწკინაშვილი.

**„არმაზი" (მცხეთა) — „ეგრისი" (ცხაკაია) 4:1. მსაჯი ნ. შავიშვილი (ბათუმი).** გოლები: ხუცურაული-2, სოლოღაშვილი-2 („არმაზი"), ჩიქობავა („ეგრისი").

**„შევარდენი"-სპი (თბილისი) — „ამირანი" (ოჩამჩირე) 2:0. მსაჯი ჯ. წერეთელი (რუსთავი).** გოლები: მენთეშაშვილი, გოგიჩაიშვილი („შევარდენი"სპი).

**„მადნეული" (ბოლნისი) — „დინამო" (ზუგდიდი) 0:0. მსაჯი ი. კანდელაკი (თბილისი).**

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს ზუგდიდელი ფეხბურთელი ე. ჰედია.

**„ივერია" (ხაშური) — „სულორი" (ვანი) 0:3. მსაჯი მ. ჰელიძე (თბილისი).** გოლები: კიკალეიშვილი, ჯ. ვერულაშვილი, დვალიშვილი („სულორი").

**„შადრევანი" (წყალტუბო) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 3:1. მსაჯი ა. კოკაია (თბილისი).** გოლები: კერესელიძე-3 („შადრევანი"), ლაბაძე („მეტალურგი").

მსაჯთან სისტემატური კამათისთვის გააფრთხილეს წყალტუბოელი ფეხბურთელი მ. კუხიანიძე.

**„ეგრისი" (ცხაკაია) — „კახეთი" (თელავი) 4:4. მსაჯი ი. შალამბერიძე (თბილისი).** გოლები: კიკალეიშვილი, ქავთარაძე, ალანია-2 („ეგრისი"), როსტომაშვილი, ჯაშიაშვილი, რაზმაძე, გავარდაშვილი („კახეთი").

**„შევარდენი"-სპი (თბილისი) — „სულორი" (ვანი) 3:1. მსაჯი ე. ხილაგავა (თბილისი).** გოლები: ჯოჯუა, ჯიშკარიანი-2 („შევარდენი"-სპი), ჯ. ვერულაშვილი („სულორი").

**„მადნეული" (ბოლნისი) — „შადრევანი" (წყალტუბო) 1:2. მსაჯი მ. ჰელიძე (თბილისი).** გოლები: დოლიძე („მადნეული"), სვანაძე, ხარაბაძე („შადრევანი").

**„სამეგრელო" (ჩხოროწყუ) — „არმაზი" (მცხეთა) 3:1. მსაჯი რ. ვერულაშვილი (თბილისი).** გოლები: ქავთარაძე, ახალაია-2 („სამეგრელო"), სოლოღაშვილი („არმაზი").

**„ამირანი" (ოჩამჩირე) — „ივერია" (ხაშური) 1:2. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).** გოლები: გაბისონია („ამირანი"), ხარაზიშვილი-2 („ივერია").

**„დინამო" (ზუგდიდი) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 2:0. მსაჯი თ. ლაცაბიძე (თბილისი).** გოლები: შეროზია, ვ. თუთბერიძე („დინამო").

### XIII-XXIII ადგილები

**„დურუჯი" (ყვარელი) — „სქური" (წალენჯიხა) 4:1. მსაჯი ვ. ხეჩოიანი (თბილისი).** გოლები: ტალახაძე, მინდიაშვილი, ნერსეზაშვილი-2 („დურუჯი"), მორგოშია („სქური").

**„იმედი" (თბილისი) — „მერცხალი" (მახარაძე) 0:1. მსაჯი ვ. შელია (გაგრა).** გოლი: სალუქვაძე („მერცხალი").

**ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „იმერეთი" (ქუთაისი) 2:2. მსაჯი თ. ლაცაბიძე (თბილისი).** გოლები: ხურცილავა, დარჩიაშვილი (ფიზკულტურის ინსტიტუტი), ჰყონია, ხურციძე („იმერეთი").

**„საპოვნელა" (თერჯოლა) — „ქართლი" (გორის რ-ნი) 2:0. მსაჯი დ. გაგნიძე (თბილისი).** გოლები: ნემსაძე, სილაგაძე („საპოვნელა").

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს „ქართლის" ფეხბურთელი ლ. რაზმაძე.

**„დინამო" (გაგრა) — „სპარტაკი" (ცხინვალი) 4:2. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).** გოლები: კვარაცხელია-4 („დინამო"), ხუბეჯიშვილი-2 („სპარტაკი").

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს ცხინვალელი ფეხბურთელი ვ. ჯიოევი.

**„მერცხალი" (მახარაძე) — „დურუჯი" (ყვარელი) 1:1. მსაჯი ვ. ხეჩოიანი (თბილისი).** გოლები: როყვა („მერცხალი"), ტალახაძე („დურუჯი").

**„იმერეთი" (ქუთაისი) — „იმედი" (თბილისი) 2:0. მსაჯი ი. გობრონიძე (ფოთი).** გოლები: შავგულიძე, ნოზაძე („იმერეთი").

**„ქართლი" (გორის რ-ნი) — „დინამო" (გაგრა) 1:2. მსაჯი ჯ. წერეთელი (რუსთავი).** გოლები: ჯიშკარიანი, კვარაცხელია („დინამო"), ჰეჰელაშვილი („ქართლი").

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს „ქართლის" ფეხბურთელი ო. ჩხიკვაძე, გაგრელმა ა. რაგანიანმა კი ყვითელი ბარათი დაიმსახურა უხეში თამაშისთვის.

**„სპარტაკი" (ცხინვალი) — „სალხინო" (გეგეჭკორი) 5:3. მსაჯი თ. ხადილიანი (თბილისი).** გოლები: კაჩლავაშვილი, ხოდოვი, ჯიოევი, ხუბეჯიშვილი-2 („სპარტაკი"), ხელაია, ბართია („სალხინო").

**„საპოვნელა" (თერჯოლა) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 2:0. მსაჯი დ. მენთეშაშვილი (თბილისი).** გოლები: ფანჩულიძე, ჩინჩალაძე („საპოვნელა").

### II ლიგა

**აღმოსავლეთი ზონა.** „გარისი" (თეთრი წყარო) — „სიონი" (დმანისი) 6:0, „სამგორი" (გარდაბანი) — „მუხნარი" (მუხრანი) 1:0, „გარეჯი" (საგარეჯო) — „შირაქი" (წითელი წყარო) 2:1, „თრიალეთი" (წალკა) — „ჰერეთი" (ლაგოდეხი) 2:0, „არაგვი" (დუშეთი) — „კოლმეურნე" (მარნეული) 0:1, „მშენებელი" (რუსთავი) — „ბახტრიონი" (ახმეტა) 1:3, „ალგეთი" (მარნეული) — „ალაზანი" (გურჯაანი) 1:0.

**ცენტრალური ზონა.** „მესხეთი" (ახალციხე) — „ხვამლი" (ცაგერი) 3:0, „იბერია" (ქარელის რ-ნი) — „ლიახვი" (ცხინვალი) 1:0, „კოლმეურნე" (ტყიბული) — „მაღაროელი" (ჭიათურა) 0:1, „თორი" (ბორჯომი) — „საირმე" (მაიაკოვსკი) 0:2, პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ქუთაისი) — „იმერეთი" (წულუკიძე) 2:2, „ზარზმა" (ადიგენი) — „ჩიხურა" (საჩხერე) 2:3, „მშენებელი" (ჭიათურა) — „ვარძია" (ასპინძა) 2:1.

**დასავლეთი ზონა.** „ნავერწკალი" (ოქუმი) — „დვაბზუ" (მახარაძე) 7:3, „მეშახტე" (ტყვარჩელი) — „ალიონი" (გალი) 3:0, „ზანა" (აბაშა) — „კოლხეთი" (ხობი) 0:2, „სუბტროპიკი" (სოხუმი) — „დინამო"-2 (ბათუმი) 8:0, „კოლხეთმშენი" (ფოთი) — „მზიური" (გალი) 1:1, „ნარინჯი" (გონიო) — „კოლმეურნე" (გაგრა) 1:1, „ჩიბათი" (ლანჩხუთი) „ნარინჯი" (ქობულეთი) 3:1.

### გათამაშების ცხრილები

**მდგომარეობა 11 ოქტომბრისთვის**

### I-XII ადგილები

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „შევ."-სპი | 14 | 9 | 3 | 2 | 34-15 | 21 |
| „სამეგრელო" | 14 | 8 | 4 | 2 | 21-10 | 20 |
| „შადრევანი" | 14 | 8 | 1 | 5 | 27-19 | 17 |
| „მეტალურგი" | 14 | 7 | 2 | 5 | 25-23 | 16 |
| „დინამო" ზ. | 14 | 7 | 1 | 6 | 32-20 | 15 |
| „სულორი" | 14 | 7 | 1 | 6 | 29-22 | 15 |
| „კახეთი" | 14 | 6 | 2 | 6 | 22-24 | 14 |
| „არმაზი" | 14 | 5 | 3 | 6 | 27-31 | 13 |
| „მადნეული" | 14 | 4 | 4 | 6 | 30-30 | 12 |
| „ეგრისი" | 14 | 4 | 3 | 7 | 15-34 | 11 |
| „ივერია" | 14 | 3 | 2 | 9 | 12-26 | 8 |
| „ამირანი" | 14 | 2 | 2 | 10 | 13-33 | 6 |

### XIII-XXIII ადგილები

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მერცხალი" | 14 | 8 | 4 | 2 | 19-7 | 20 |
| „დინამო" გ. | 13 | 7 | 2 | 4 | 22-15 | 16 |
| „სპარტაკი" | 12 | 6 | 2 | 4 | 19-18 | 14 |
| „დურუჯი" | 12 | 5 | 4 | 3 | 15-13 | 14 |
| „საპოვნელა" | 13 | 6 | 1 | 6 | 20-20 | 13 |
| „სალხინო" | 13 | 4 | 4 | 5 | 14-14 | 12 |
| ფიზკ. ინსტ. | 12 | 4 | 4 | 4 | 13-13 | 12 |
| „იმერეთი" | 14 | 4 | 3 | 7 | 13-16 | 11 |
| „იმედი" | 12 | 2 | 6 | 4 | 9-12 | 10 |
| „ქართლი" | 12 | 3 | 3 | 6 | 5-9 | 9 |
| „სქური" | 13 | 3 | 3 | 7 | 14-27 | 9 |

## ფეხბურთის ამბები

**ბოლონია.** იტალიის ფეხბურთელთა ნაკრებმა ამ ქალაქში ამხანაგური საერთაშორისო მატჩი გამართა საბერძნეთის გუნდთან და გაიმარჯვა ანგარიშით 2:0. ორივე ბურთი გაიტანა ბერგომიმ.

იტალიელთა ახალმა მწვრთნელმა ა. ვიჩინიმ, რომელმაც ამ პოსტზე ე. ბეარზოტი შეცვალა, განაახლა გუნდის შემადგენლობა, გაათავისუფლა ფეხბურთელები, რომლებიც წარუმატებლად თამაშობდნენ მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატში. მაგალითად, კარს იცავდა ახალგაზრდა მეკარე ზენგა, დაცვაში ითამაშა ბონეტიმ, ნახევარდაცვაში — დონადონიმ. მაგრამ იტალიის ნაკრებში საუკეთესონი მაინც ვეტერანები იყვნენ, კერძოდ, ალტობელი და ბერგომი. ა. ვიჩინის მიაჩნია, რომ ბერძნებთან ჩატარებული მატჩი იტალიელთათვის საუკეთესო რეპეტიციაა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების წინ.

**გლაზგო.** შოტლანდიის ეროვნულ ჩემპიონატში წინაა „დანდი იუნაიტედი": 19 ქულა 11 ტურის შემდეგ. ლიდერს ქულით ჩამორჩება კიევის „დინამოს" მომავალი მეტოქე ევროპის ჩემპიონთა თასზე „სელტიკი", რომელმაც განვლილ ტურში ანგარიშით 2:0 მოუგო „ჰართსს".

**ბონი.** მოსკოვის „ტორპედოს" მეტოქე თასების მფლობელთა თასზე — „შტუტგარტი" გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჩემპიონატში ამჟამად მესამე ადგილზე იმყოფება. IX ტურში „შტუტგარტმა" ფრედ ითამაშა „ნიურნბერგთან" — 1:1.

**პარიზი.** „ტულუზა", რომელსაც მოსკოვის „სპარტაკი" უნდა შეხვდეს უეფა-ს თასზე, საფრანგეთის ჩემპიონატში მეთხე ადგილზეა. განვლილ ტურში „ტულუზამ" ნანტში მარცხი განიცადა ადგილობრივი კლუბისგან — 1:2.

## „სპორტლოტო"

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები 5 ოქტომბერს გამართული „სპორტლოტოს" მორიგი, მე-40 ტირაჟებისა.

**„სპორტლოტო 6 45"-იდან:** გაიყიდა 746.395 ბარათი.

ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო, ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (22 ბარათი) მოგება 3190 მანეთია, ოთხისთვის (1716) — 39, სამისთვის — (28933) — 3.

**„სპორტლოტო 5 36"-იდან:** გაიყიდა 5.886.627 ბარათი.

ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (4 ბარათი) მოგება 7701 მანეთია, ოთხისთვის (9001) — 71, სამისთვის (191242) — 4.

მე-40 ტირაჟებისა და ათტირაჟიანი (31-დან 40-ის ჩათვლით) ბარათების განაღდება იწარმოებს 20 ოქტომბრიდან 20 ნოემბრის ჩათვლით.

## სპორტულ ბაზებზე

**ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. 11 ოქტომბერი. „ლოკომოტივის"** სტადიონი. **„იმედი" (თბილისი) — „საპოვნელა" (თერჯოლა).** დასაწყისი 12 ს., **12 ოქტომბერი.** „ლოკომოტივის" სტადიონი. **ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „დინამო" (გაგრა).** 14 ს.

რედაქტორის მოადგილე
**თ. გაჩეჩილაძე.**


**თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონი**
(ი. ჭავჭავაძის პროსპ. № 74)
**11, 12 ოქტომბერს**
**რეგბი**
საბჭოთა კავშირის თასზე „ლოკომოტივი" (თბილისი) — „პოლიტექნიკი" (კაუნასი).
დასაწყისი 16 საათზე.


ინდექსი: 30428. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ., 29. 18 უე 07541